

899-962.1-03

თ - 869

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
შოთა რუსთაველის სახელობის  
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან სერგოს ასული თურნავა

პირ-შან დე ბერანჟე ქართულ ლიტერატურაში

10.01.01 — ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი - 1999

ნაშრომში შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში

მეცნიერ-ხელმძღვანელი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ლაშქარაძე

სადისერტაციო-საატესტაციო საბჭოს ექსპერტი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შალვა ჩინუა

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — აკაკი ხინთიბიძე
  2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — იზოლდა ბაჩიაშვილი


წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის „.....“ „.....“ საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (10.01 №3) სხდომაზე. მისამართი: თბილისი — 380008, მ. კოსტავას ქ. №5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორიფერატი დაიგზავნა 1999 წლის „21“ თებერვალს.....

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი *მ. ჯაბაძე* ა. არაბული/



თემის აქტუალურობა. ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს XX საუკუნის დასასრულს, ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებისა და საქართველოში ევროპულ კულტურულ ღირებულებათა ადგენის ზირობებში. ქართული ლიტერატურა არასოდეს ყოფილა მოწვევტილი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებას (თუ ისტორიული ავბედილობის პერიოდებს გამოვირიცხავთ). იგი თავისი არსით და ძირითადი ტენდენციებით ევროპული ლიტერატურაა, რაც აისახება მხატვრული აზროვნების სისტემათა მსგავსებით. ეს გარემოება პირველად ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა საზგასმით.

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ფრანგული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჰიერ-ჟან დე ბერანჟეს ღირიკის პირველი ქართული თარგმანებისა და მიბაძვების შემოსვლა ქართულ ლიტერატურაში დაემთხვა მისი განახლების პროცესს, რომელშიც აღნიშნული ნიმუშები ბუნებრივად ჩაერთო დემოკრატიული მოტივებითა და საყოფაცხოვრებო სტილით. 70-იანი წლებიდან დაწყებული ითარგმნებოდა სოციალურ-პოლიტიკური, სამხედრო-პატრიოტული და ფილოსოფიური ღირიკის ნიმუშები. XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნეში შესრულებულმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი თემატური და ანრული სიანლე შეიტანა ქართულ პოეზიაში.

ბერანჟეს ლექსებში რეალისტურად აისახა XIX საუკუნის I ნახევარში საფრანგეთის ცხოვრებაში მომხდარი რთული სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, მაგრამ ჩვენს თანამედროვეობას იგი ეხმარება თავისი იდეალით, როგორც არის თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ზნეობიანი საზოგადოება, სადაც პიროვნება თავისუფალია. ადამიანის ბუნებრივ უფლებად აღიარებს რა ამქვეყნიური ცხოვრებით ტვობას, ფრანგი მგოსანი ეპიკურეს ფილოსოფიაში ხედავს არამარტო სიამოვნების კულტს, არამედ ზომიერების მკაცრ მოთხოვნას-საც. მისი კლასიკური პოეზია დღესაც გამოირჩევა უშრეტო სწლისითა და ფრანგული მანვილგონიერებით, ბედისადმი დაუმორჩილებლობით და სიცოცხლის სიყვარულით. საგულისხმოა, რომ ბერანჟეს კონცეფციამ გაერთიანებულია პიროვნებისა და სამშობლოს თავისუფლების იდეები, ხოლო სიყვარული გააზრებულია მთელი სამყაროს საყრდენად და ადამიანის სულის ზეობის ფენომენად. განზოგადების ძალით აღბეჭდილი მისი საყოფაცხოვრებო და პოლიტიკური სტილი, საზოგადოებაში ქალის როლის დრმა ანალიზი, ეხმარება XX საუკუნის პრობლემებს. ბერანჟე ლექსის კლასიკური ფორმის ერთგულია, მისი კერსიფიკაციული მიგნებები და სასიძლო მოტივები ხელს უწყობს ქართული სიმღერის ანრის განვითარებას.

გამოკვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანია განისაზღვროს ბერანჟეს ღირიკის ქართული თარგმანების, მიბაძვებისა და ვარიაციების ლიტერატურული

1762-